

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	ა(ა)იპ-„ადამიანი და ბუნება“
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
დაწესებულების სახე	საზოგადოებრივი კოლეჯი
საიდენტიფიკაციო კოდი	200 009 613

დაწესებულება ახორციელებს	
I საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს	
II საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს	
III საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს	ექთნის თანაშემწე, მასაჟისტი
IV საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს	მასაჟისტი
V საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს	პრაქტიკოსი ექთანი
სხვა საგანმანათლებლო პროგრამებს (მხოლოდ საზოგადოებრივი კოლეჯის შემთხვევაში)	

პროგრამის დამატების სურვილი (კი/არა)	არა
--------------------------------------	-----

ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის/ლიცენზიის/პროფესიული პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების (უმაღლესი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების შემთხვევაში) შესახებ	
გადაწყვეტილების ნომერი	N38
გადაწყვეტილების მიღების თარიღი	30.08.2014
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	5 წელი

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
იურიდიული მისამართი	გურამიშვილის გამზირი N72
საფოსტო ინდექსი	0178
დაწესებულების ვებ-გვერდი	college.manandnature.ge
დაწესებულების ელ-ფოსტა	umn@access.sanet.ge
ტელეფონი/ფაქსი	2610189 2654049
დაწესებულების ხელმძღვანელი/წარმომადგენელი	ლალი ზაუტაშვილი
ტელეფონი/ფაქსი	599202495
ელ-ფოსტა	Lali.zautashvili@therapiehaus.ge
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	ლია ბუღაძე
ტელეფონი/ფაქსი	599109502
ელ-ფოსტა	Lia.bugadze@therapiehaus.ge

ავტორიზაციის სტანდარტები

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

აღწერა

დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის-დირექტორის მიერ. პროგრამებში წარმოდგენილია შემდეგი სახის ინფორმაცია: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საკონტაქტო მონაცემები, სწავლების ენა და საფეხური, დაშვების წინაპირობა, სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა კრედიტებში, პროგრამის შინაარსი, მიზანი, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა, სწავლების მეთოდები, ცოდნის შეფასება, დასაქმების სფერო, თანამშრომლობის მემორანდუმები, მობილობა, სწავლის შედეგების რუქა, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ, დაწესებულების გამოცდილება, სწავლის შედეგები ექვს კომპეტენციად გაწერილი, პროგრამის შეცვლა და გაუქმება, პროგრამის შეფასების წესი, პროგრამის ხელმძღვანელი/ჯგუფი. თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის სილაბუსები, რომელიც წარმოადგენს პროგრამის განუყოფელ ნაწილს.

პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროგრამების ჩამონათვალი რომლის განხორციელების უფლებაც აქვს დაწესებულებას

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული)	მიუთითეთ შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
1	ექთნის თანაშემწე	ქართული	ექთნის თანაშემწის მე-3 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090551	90	მე-3	ავტორიზებული	№38 30.08.2014
2	მასაჟისტი	ქართული	მასაჟისტის მე-3 საფეხური პროფესიული კვალიფიკაცია	60	მე-3	ავტორიზებული	№38 30.08.2014

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიური ანგარიში

			090651				
3	მასაჟისტი	ქართული	მასაჟისტის მე-4 საფეხური პროფესიული კვალიფიკაცია 090651	45	მე-4	ავტორიზებული	№38 30.08.2014
4	პრაქტიკოსი ექთანი	ქართული	პრაქტიკოსი ექთნის მე-5 საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090552	150	მე-5	ავტორიზებული	№38 30.08.2014

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი რომლის განხორციელების უფლებაც აქვს დაწესებულებას

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი

სხვა საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი (ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამა; ლიბერალური განათლების საგანმანათლებლო პროგრამა; მოსამზადებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა)

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	კრედიტების რაოდენობა

პროგრამების ჩამონათვალი, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას

№	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა	პროფესიული განათლების საფეხური	პროგრამის შექმნის საფუძველი (პროფესიული სტანდარტი/ჩარჩო დოკუმენტი)

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიური ანგარიში

დადასტურება	
--------------------	--

1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესების შესახებ

აღწერა	დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებულია პროფესიული პროგრამების კატალოგი , რომელშიც მოცემულია თითოეული პროგრამის: დასახელება, საკონტაქტო ინფორმაცია, სწავლების ენა და საფეხური, დაშვების წინაპირობა, სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა კრედიტებში, შინაარსი, მიზანი, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა(დატვირთვა), პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება, დასაქმების სფერო, თანამშრომლობის მემორანდუმები, მობილობა, სწავლის შედეგების რუქა, ადამიანური და მატერიალური რესურსი, დაწესებულების გამოცდილება.
---------------	--

დადასტურება	დაწესებულების დირექტორის ბრძანება - № 1-09/14, 29.05.2014
--------------------	---

1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს

აღწერა	დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შედეგები შეესაბამება პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში შედეგები გაწერილია ექვს კომპეტენციად.
---------------	---

დადასტურება	დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები
--------------------	---

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

აღწერა	დაწესებულებას შემუშავებული აქვს და დებულებაში გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის წესები, ხოლო მობილობის წესი განსაზღვრულია პროფესიულ პროგრამებში. მიღებული განათლების აღიარებასთან დაკავშირებული ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტაცია, განსახორციელებელი პროცედურები შესაბამის პერიოდში რეგულირდება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.
---------------	---

დადასტურება	<ol style="list-style-type: none"> 1. დაწესებულების დირექტორის ბრძანება - № 1-07/14. 21.05.2014- „არაფორმალური განათლების აღიარება“ ; 2. დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები; 3. დაწესებულების დირექტორის ბრძანება - № 1- 05/14. 10.05.2014-
--------------------	---

„**დებულების ახალი რედაქციით დამტკიცება**“

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

აღწერა	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც გაწერილია დებულებაში და პროფესიულ პროგრამებში. დაწესებულებას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები
დადასტურება	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები; თანამშრომლობის მემორანდუმები;

1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად

აღწერა	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად : ანონიმური გამოკითხვა (კითხვარი) , შესაბამისი რეაგირება მიღებულ შედეგებზე და უცხოელი სპეციალისტის მიერ ყოველწლიურად სუპერვიზიისთვის დღეების გამოყოფისა და მისი რეკომენდაციების გათვალისწინება
დადასტურება	დაწესებულების დირექტორის ბრძანება N1 – 19/14 21.08.14

1.7 საანგარიშო პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტთან მიმართებით განხორციელებული ცვლილებები

ცვლილების აღწერა
ცვლილების მიზანი
ცვლილების შედეგი
ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

- ძლიერი მხარეები:**
- მაღალკვალიფიცირებული, ევროპაში მიღებული განათლების მქონე პროფესიული მასწავლებლები;
 - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს თემატიკის შესასწავლად თანამედროვე მეთოდებს;
 - სწავლის მსურველთათვის შექმნილია ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამები;
 - პროფესიული სტუდენტები ჩართულები არიან რეალურ პრაქტიკულ გარემოში (ამბულატორია

და დღის სტაციონარი) და აქვთ პაციენტებთან უშუალო კონტაქტისა და ქმედების საშუალება მასწავლების მეთვალყურეობის ქვეშ.

სუსტი მხარეები:

- დაწესებულებამ მეტად უნდა იმუშაოს პროფესიული საგანმანათლებლო პრაგრამების პოპულარიზაციისთვის, რათა აქტიურად მოხდეს ახალგაზრდების დაინტერესება ამ პროფესიით;
- მცირე რაოდენობით პროფესიული სტუდენტები.

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი:

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

აღწერა	
ფაქტობრივი მისამართი	თბილისი, 0178, გურამიშვილის გამზ. N72
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	01.12.01.005028
კვ.მ.	211კვ.მ.
დადასტურება	დაწესებულების დირექტორის 2015 წლის 15 იანვრის N1-01/15 ბრძანება, საიჯარო ხელშეკრულება

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი

აღწერა	სასწავლო ფართი აღჭურვილია სათანადო ინვენტარით , თვალსაჩინოებებითა და სასწავლო პროცესში დამხმარე სხვა საშუალებებით: მაგიდები , სკამები , კარადები, დაფები, საავადმყოფოს ფუნქციური საწოლები, ინვალიდის ეტლი, ყავარჯნები, სიარულში დამხმარე ჭოჭინა, სასწავლო დახმარების ჩემოდანი, მულიაჟები(ანატომიური თოჯინა, სასწავლო ჩონჩხი, ავადმყოფის მოვლისთვის და სხვადასხვა სამედიცინო მანიპულაციებისთვის განკუთვნილი თოჯინა), პროექტორები, ეკრანი, ვიდეომანტიტოფონი და ტელევიზორი, ელექტრონული სასწავლო რესურსი, ანატომიური და სხვა სასწავლო პლაკატები, წიგნები, საოფისე ტექნიკა (კომპიუტერები, პრინტერი, სკანერი, ქსეროკოპირების აპარატი) და სხვ;
დადასტურება	<ul style="list-style-type: none"> • ინვენტარის ფაქტობრივი არსებობა • ინვენტარის შემენის დოკუმენტაცია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების

შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
აღწერა	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.
დადასტურება	<ul style="list-style-type: none"> • შენობის ნახაზი • გადახდის ქვითრები • გათბობის საშუალებების (საქვაბე და სხვა) ფაქტობრივი არსებობა.

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას	
აღწერა	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;
დადასტურება	<ul style="list-style-type: none"> • ფაქტობრივი მასალა, • ხელშეკრულებები (წიგნების ჩუქების ხელშეკრულება, სახელმძღვანელო წიგნის გამოცემის ხელშეკრულება).

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში	
აღწერა	დაწესებულებას გააჩნია ინტერნეტ -ქსელში ჩართული კომპიუტერები და უკაბელო ინტერნეტი, რომლებიც გამოიყენება როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში. სტუდენტებს საშუალება ეძლევათ კომპიუტერების საშუალებით მოიძიონ საჭირო სასწავლო მასალა.
დადასტურება	კომპიუტერების ფაქტობრივი არსებობით; შესყიდვის და ჩუქების აქტებით, ხელშეკრულებებით.

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
აღწერა	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა სპეციალურ ჟურნალებში
დადასტურება	დაწესებულებაში შესაბამისი ჟურნალების არსებობით

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის საევაკუაციო გეგმაზე მინიშნებულ ადგილებზე ცეცხლმაქრები;
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	სამსართულიან შენობაში , სადაც განთავსებულია დაწესებულება , თითოეულ სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	დაწესებულებას შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული აქვს სამედიცინო ცენტრის „თერაპიის სახლის“ (სადაც ფიზიკურად არის განთავსებული კოლეჯი) ადმინისტრაციასთან, რომელიც ვალდებულია მისი სამედიცინო პერსონალის მეშვეობით საჭიროებისამებრ დაწესებულებაში არსებულ ნებისმიერ პირს გაუწიოს სამედიცინო დახმარება(მათ შორის პირველადი გადაუდებელი დახმარება) და

უზრუნველყოს შემდგომი რეაგირება (სასწარაფო დახმარების გამოძახება და სხვა);	
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები	
დაწესებულებას შემუშავებული აქვს წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, დაცვისა და სამეურნეო სამსახურის თანამშრომლის (2 საშტატო ერთეული) ფუნქციების განსაზღვრის გზით: დაწესებულებაზე ზედამხედველობა, შენობის უსაფრთხოებისა და დასუფთავებაზე ზრუნვა , მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფის ღონისძიებების შემუშავება, მომარაგება საჭირო მატერიალური ფასეულობებით, მასალებით (სამეურნეო,საკანცელარიო ინვენტარი) , კომუნალური და სხვა გადასახადების უზრუნველყოფა, პროფესიულ სტუდენტთა ქცევაზე ზედამხედველობა, უნარშეზღუდული პირების საჭიროებების განსაზღვრა და მათი დაუბრკოლებელი გადაადგილების უზრუნველყოფა.	
დადასტურება	<ul style="list-style-type: none"> • დაწესებულების დირექტორის 2014 წლის 05 ივნისი N1 1-11/14 ბრძანება- „შენობაში ახალი საევაკუაციო გეგმის შესახებ“; • 2014 წლის 05 ივნისი N1-12/14 ბრძანება-„სამედიცინო დახმარების გაწევის შესახებ“; • ხანძარსაწინააღმდეგო ცეცხლმაქრი ბალონების ფაქტობრივი არსებობით; • ევაკუაციის გეგმის ფაქტობრივი არსებობით, შრომითი ხელშეკრულებით.

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის	
აღწერა	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის. შენობის შემოსასვლელში და კიბეებზე განთავსებულია პანდუსები, ასევე მოწყობილი და ადაპტირებულია სველი წერტილები - პროფესიულ სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ შენობის პირველ სართულზე განთავსებული ტუალეტით, რომელშიც შესაძლებელია ეტლით შესვლა. გარდა ამისა, გაფორმებულია ხელშეკრულებები დაცვის 2 თანამშრომელთან, რომელთაგან ერთი სულ ადგილზეა (24 საათიანი სამუშაო გრაფიკით) და მუდმივ მზადყოფნაშია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასახმარებლად.
დადასტურება	დასტურდება ფაქტობრივი არსებობით და შრომითი ხელშეკრულებით.

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, აკადემიური პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი	
აღწერა	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების მისია, ლოგო, სამოქმედო გეგმები, სტრუქტურა, პროფესიული განათლების შესახებ, (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებები, დაწესებულების დებულება და შინაგანაწესი). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად.
დადასტურება	ვებგვერდის არსებობა დასტურდება ხელშეკრულებით ტელესაკომუნიკაციო და საინფორმაციო მომსახურებაზე და ვიზუალური დათვალიერებით.

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

<p>აღწერა</p>	<p>შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური და ადამიანური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მექანიზმებს.</p> <p>დაწესებულების ექვსწლიან გეგმაში საუბარია: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობის გაზრდის აუცილებლობაზე; პროფესიული სტუდენტების ჯგუფების რაოდენობის სიმცირეზე, რომელიც სასწავლო პროცესისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურებას ართულებს; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისა და მასწავლებელთა კვალიფიკაციის მუდმივი ზრდის ოპტიმალური პირობების (როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ) შექმნაზე; სწავლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებისთვის სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორის მიერ სხვადასხვა ღონისძიებების (შიდა და გარე შეფასებები) გატარების აუცილებლობაზე; კოლეჯის ადმინისტრაციისა და სასწავლო-საგანმანათლებლო საქმიანობის შემსრულებელი გუნდის შეთანხმებული მუშაობის გაუმჯობესებაზე (ტრენინგები, სუპერვიზიის დღეები ევროპიდან მოწვეულ ექსპერტთან ერთად); ვებ-გვერდის მუდმივ განვითარებაზე; პროფესიული სტუდენტების პოტენციურ დამსაქმებლებთან მომავალში უფრო ეფექტური ურთიერთობის ჩამოყალიბებაზე; პარტნიორული ურთიერთობების გაგრძელება-განვითარებაზე როგორც პროფესიულ კოლეჯებთან, ასევე უმაღლეს სამედიცინო სასწავლებლებთან.</p> <p>დაწესებულების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს როგორც ყოველწლიურად განსახორციელებელ, ასევე ერთჯერად, უფრო მოკლევადიან და კონკრეტულ ამოცანებს. კოლეჯის ერთწლიანი სამოქმედო გეგმას წარმოადგენს: სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გამოცდებისა და სხვადასხვა კითხვარების შედეგების გაანალიზებასა და შესაბამის რეაგირებას; სტუდენტი-პრაქტიკანტების, როგორც წარმატებული ადმინისტრირების დამატებითი რესურსის გამოყენებას, კერძოდ, ჩვენი პროფესიული სტუდენტი ახორციელებს კოლეჯის ადმინისტრირებაში სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან მიღებულ მითითებებს; ასევე, პროფესიული სტუდენტები ახორციელებენ დღის სტაციონარში მოთავსებულ პაციენტებზე დაკვირვებასა და მოვლას მასწავლებლის მეთვალყურეობის ქვეშ.</p> <p>დაწესებულებამ სამოქმედო გეგმის მიხედვით სასწავლო პროცესის უკეთესი წარმართვისთვის დამატებით შეიძინა ერთი კომპიუტერი.</p> <p>პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების წარმატებით განხორციელებისთვის დაიგეგმა და განხორციელდა ევროპელი სპეციალისტების მოწვევა და ლექცია-სემინარების ჩატარება, სადაც ესწრებოდნენ როგორც მასწავლებლები, ასევე პროფესიული სტუდენტები.</p> <p>ქრისტოფ ცერმი მეან-გინეკოლოგი გერმანიიდან 20.10 -29.10.2017 წელი; ქრისტიან ვრე - ფიზიოთერაპევტი ჰოლანდიიდან 21.11- 02.12.2017 წელი;</p>
---------------	---

დაიგეგმა და წარმატებით ხორციელდება ლიმფოლოგიური კურსი ექიმებისთვის და მასაჟისტებისთვის. კურსის მსმენელებისთვის ჩატარდა ანონიმური გამოკითხვა კითხვარების საშუალებით, საიდანაც გამოვლინდა მათი მხრიდან სასწავლო პროცესისადმი კმაყოფილება.

აგრეთვე, კოლეჯი სისტემატურად ახორციელებს ავადმყოფის მოვლის მოკლე კურსს იმ ადამიანებისთვის, რომლებიც პაციენტის მოვლისთვის მიემგზავრებიან უცხოეთში;

კოლეჯს აქვს ახალი ხელშეკრულება შ.პ.ს. „არსის“ კოლეჯთან. „არსის“ სტუდენტები, ჩვენი კოლეჯის ბაზაზე გაივლიან თეორიულ და პრაქტიკულ კურსს „ფიზიოთერაპიასა“ და „რეაბილიტაცია საექთნო საქმეში“.

კოლეჯს აქვს ხელშეკრულება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტთან. უნივერსიტეტის სტუდენტები ჩვენი კოლეჯის ბაზაზე გადიან პაციენტის მოვლის კურსს, კურსი ტარდება როგორც ქართველ, ასევე უცხოელ სტუდენტებთან;

2016 წლის ნოემბერ-დეკემბერში ქალაქ ქუთაისში ჩატარდა სამკვირიანი ტრენინგი „მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობების ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზირებული საოჯახო ტიპის მომსახურე პერსონალისათვის საექთნო მოვლის პრაქტიკული უნარ-ჩვევები“ unicef -ის პროექტის ფარგლებში.

უცხოურ არასამეწარმეო იურიდიულ პირთან „საქართველოს არბაითერ-სამართერ ბუნდი“ მომსახურეობის გაწევაზე დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „ავადმყოფის ბინაზე მოვლის პრაქტიკული უნარ-ჩვევები მწვავე და ქრონიკული დაავადებების დროს“ საქართველოს სამართელთა კავშირის შინმოვლის ექთნებისათვის (01.05-31.05.2017წ.) ქ.გორში.

იგეგმება პრაქტიკოსი ექთნის პროგრამაზე სასწავლოდ შემოსული პროფესიული სტუდენტებისთვის საწარმოო პრაქტიკა გერმანიაში, რის შემდეგ შესაძლებელი იქნება წარმატებული კურსდამთავრებულების დასაქმება გერმანიაში, ბად ვიუტენბერგის მახარეში დიაკონიის სამსახურის ავადმყოფისა და ხანდაზმულთა მოვლის ქსელის სხვადასხვა დაწესებულებაში.

ამ მიზნით კოლეჯის დირექტორი განათლების სამინისტროსა და სხვა პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლებთან ერთად სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ბად ვიუტენბერგის დიაკონიის მიწვევით ქ. შტუტგარტში ოქტომბრის თვეში, სადაც დაიგეგმა პრაქტიკოსი ექთნის პროფესიული პროგრამის გადახედვა და მისი გერმანულ ექთნის პროფესიულ პროგრამასთან შესაბამისობაში მოყვანა.

ამის საფუძველზე, ქართველ კოლეჯებთან ერთობლივი მუშაობის შედეგად პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ პროგრამაში მოხდა მცირეოდენი მოდიფიკაცია. კერძოდ, სასწავლო კურსებში „ავადმყოფის მოვლა-1“ და „ავადმყოფის მოვლა-2“ დამოუკიდებელი მუშაობის საათების რაოდენობის შემცირებისა და საკონტაქტო საათების გაზრდის შედეგად ეს პროგრამა მაქსიმალურად დაუახლოვდა გერმანიაში მოქმედ ექთნის პროგრამას. ამასთანავე არ შეცვლილა არც სასწავლო

	<p>მიზნები და არც კრედიტების საერთო რაოდენობა. ამას დაემატება გარდა საქართველოში გავლილი სასწავლო და საწარმოო პრაქტიკისა გერმანიაში გავლილი საწარმოო პრაქტიკა.</p> <p>პროფესიული სტუდენტები ნაცვლად ინგლისური ენისა უცხოური ენის დასაუფლებლად გაივლიან სასწავლო კურსს გერმანულ ენაში (კრედიტების რაოდენობა არ იცვლება). ამასთან დაკავშირებით მოხდა ერთ დამატებით სპეციალისტთან - გერმანული ენის მასწავლებელთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება.</p> <p>კოლეჯის დირექტორი ამ საკითხების განსახილველად შეხვდა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების სამსახურის უფროსს ბატონ კახა ერაძეს, რომლისგანაც მიიღო ფასეული რეკომენდაციები.</p> <p>დაიგეგმა სტუდენტთა მისაღებად საჭირო ღონისძიებები. სკოლის დამამთავრებელ კლასებთან შეხვედრები. ახალი სარეკლამო ბანერისა და ფლაერების დაბეჭდვა. შპს „რადიოცენტრი პლუს“-თან დადებული ხელშეკრულების შედეგად მომზადდა სარეკლამო მასალა, კვირის პალიტრის გაზეთისთვის, ვებ-გვერდ www.Ambebi.ge-თვის და რადიო „პალიტრა“-ს ეთერისთვის სარეკლამო რგოლი. მოხდა ვებ-გვერდის განახლება. შეიქმნა კოლეჯის FB-გვერდი.</p>
დადასტურება	ერთწლიანი და ექვსწლიანი სამოქმედო გეგმები, ხელშეკრულებები, დირექტორის ბრძანება

2.10	საანგარიშო პერიოდში მატერიალური რესურსის სტანდარტთან მიმართებით განხორციელებული ცვლილებები
ცვლილების აღწერა	
სტუდენტების სიმცირის მიუხედავად შეძენილ იქნა დამატებით ერთი კომპიუტერი	
ცვლილების მიზანი	
სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვისათვის	
ცვლილების შედეგი	
პროფესიული სტუდენტები ადვილად გაიცნობენ და შეისწავლიან ევროპულ და თანამედროვე მეთოდებსა და მიღწევებს	
ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები	
<p>ძლიერი მხარეები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ევროპიდან ჩამოტანილი ლიტერატურა (წიგნები და სასწავლო მასალა) ; • უახლესი სასწავლო მასალის თარგმანი და დამუშავება; • ევროპული სტანდარტების მულაჟები და სასწავლო მანეკენები; • რეალური პრაქტიკული გარემო (ადგილობრივი ამბულატორია და დღის სტაციონარი); • სადემონსტრაციო საშუალებები და მისი შესაბამისი აღჭურვილობა. <p>სუსტი მხარე:</p>	

პროფესიული სტუდენტების არ არსებობა 2017 წლის თებერვლიდან

3. ადამიანური რესურსი

3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს

აღწერა	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს . დაწესებულებას ჰყავს დირექტორი , სამეთვალყურეო საბჭო , საქმეთა მმართველი, ფინანსური მენეჯერი, ოფის მენეჯერი, ბიბლიოთეკის თანამშრომლები, დამლაგებელი და სასწავლო კურსის ხელმძღვანელებელი.
დადასტურება	დაწესებულების თანამშრომელთა პირადი საქმეები და სამუშაო გამოცდილება;

3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი

აღწერა	კოლეჯში არის 28 მასწავლებელი .მასწავლებელთა სიმრავლე აიხსნება იმ ფაქტით, რომ კოლეჯი იმყოფება რეალური პრაქტიკული სამედიცინო მომსახურების განმახორციელებელ გარემოში, სადაც მასწავლებლები ეწევიან პრაქტიკულ საქმიანობას. პროფესიულ სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა აქტიური მონაწილეობა მიიღოს პრაქტიკულ საქმიანობაში მასწავლებლის მეთვალყურეობის ქვეშ. სტუდენტების არ არსებობის გამო, ამ ეტაპზე პროფესიული მასწავლებლების დაკავება არ ხდება
დადასტურება	მასწავლებლებთან დადებული ხელშეკრულებები და პირადი საქმეები

3.3 დაწესებულებაში პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის თანაფარდობა

აღწერა	დაწესებულებას შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული აქვს 29 მასწავლებელთან . სასწავლებელში ამ ეტაპზე არ გვყავს არცერთი პროფესიული სტუდენტი
--------	---

დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა

პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	50
პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა	0
პროფესიულ სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობიდან სსსმ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა	0

დაწესებულებაში მასწავლებელთა რაოდენობა

მასწავლებელთა რაოდენობა	29
-------------------------	----

დადასტურება	ხელშეკრულებები მასწავლებლებთან
-------------	--------------------------------

3.4 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

აღწერა	პროფესიული განათლების მასწავლებელთა შერჩევა ხორციელდება გასაუბრების საფუძველზე, ასევე მხედველობაში მიიღება კვალიფიკაცია, სამუშაო გამოცდილება. შრომითი ხელშეკრულებები და პირადი საქმეები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობითა და დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დადგენილი წესით.
--------	---

დადასტურება	დაწესებულების დირექტორის 2014 წლის 10 მაისის N1-04/134 ბრძანება
-------------	---

3.5 საანგარიშო პერიოდში ადამიანური რესურსის სტანდარტთან მიმართებით განხორციელებული ცვლილებები

ცვლილების აღწერა

დაწესებულებაში აყვანილ იქნა ახალი თანამშრომელი ოფის მენეჯერის პოზიციაზე და გერმანული ენის მასწავლებელი

2017 წლის 2 თებერვლის N 1-03/17 ბრძანება.
2017 წლის 27 ივლისის N 1-08/17 ბრძანება.

ცვლილების მიზანი

დაწესებულების ბიუროს საქმიანობის უკეთესი წარმართვისთვის.

ცვლილების შედეგი

ოფის მენეჯერი წარმატებით ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს

ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები

ძლიერი მხარეები:

- მასწავლებლების ევროპაში მიღებული განათლება და პრაქტიკა;
- წარჩინებული პროფესიული სტუდენტისთვის პრაქტიკის გავლა გერმანიის წამყვან კლინიკაში;
- პროფესიული მასწავლებლებისთვისა და პროფესიული სტუდენტებისთვის ლექცია-სემინარების ჩატარება ევროპელი სპეციალისტების მიერ;
- პროფესიული მასწავლებლების მიერ სამედიცინო პერსონალისთვის გადამზადების კურსის ჩატარება;
- უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლების სტუდენტებისთვის კურსის ჩატარება;
- გადამზადების კურსის ჩატარება იმ პირთათვის, რომლებსაც არ აქვთ სამედიცინო განათლება და მიემგზავრებიან საზღვარგარეთ პაციენტის მოვლისთვის;

სუსტი მხარე:

პროფესიული სტუდენტების არ არსებობა 2017 წლის თებერვლიდან

4. თვითშეფასების წლიური ანგარიშის შემუშავების პროცესის აღწერა და პროცესში ჩართული სტრუქტურული ერთეულების ან/და პირების შესახებ ინფორმაცია

თვითშეფასების წლიური ანგარიშის შემუშავება მოხდა სამეთვალყურეო საბჭოს ფარგლებში.

გამომდინარე იქიდან, რომ კოლეჯში ამ ეტაპზე პროფესიული სტუდენტების არ არსებობის გამო მოცულობითი სამუშაოს შესრულება არ იყო საჭირო.

თვითშეფასების წლიური ანგარიშის შემუშავების პროცესში სამეთვალყურეო საბჭოს წევრების გარდა ჩართული იყო დაწესებულების ოფის მენეჯერი.

თვითშეფასების წლიური ანგარიშის შემუშავების პროცესი მოიცავდა კოლეჯის დოკუმენტაციის შესწავლას და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს შორის ზეპირსიტყვიერ განხილვასა და შეთანხმებას. ზეპირსიტყვიერი განხილვა მოხდა.

თვითშეფასების წლიური ანგარიშის შემუშავების პროცესში მონაწილე პირები არიან:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების წლიური ანგარიში

- ლალი ზაუტაშვილი - აიპ „ადამიანი ბუნება“ საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი;
- ლია ბუღაძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, მასწავლებელი, ექიმი-პედიკტრი,
- ლალი ანდრიაშვილი - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, მასწავლებელი, მედ, დოქტორი, ოჯახის ექიმი;
- მერი ვაშაკიძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, მასწავლებელი, კოორდინატორი, ექთანი;
- ნინო ჩხეტიანი - კოლეჯის ოფის მენეჯერი;

თანდართული დოკუმენტაცია	
----------------------------	--

შევსების თარიღი	29.07.2017
-----------------	------------